## ჩემო სამშობლოვ, შესი მეკვლე ვარ!

ჩემო სამშობლოვ, შენი მეკვლე ვარ,
– შემოვდგი ფეხი, ვარ მომლოცველი,
თვითეულ მოძმის გადამკოცნელი!
ხალხო ქართველო,
შენ გაიხარე,
ბედნიერების ვარ მომლოცველი

ყოველი შენი ბუჩქი და ტოტი
მენახოს მზეში დამარჯნებული,
შენი მარჯვენა მინდვრად, დაზგასთან,
იყოს მარადის გამარჯვებული!

ხალხო, გიმრავლოს კერის აკვნები,
ხალხო, აივსე მიწის ბარაქით!
სულ შჩქეფარებდნენ დაუშრობელად
შენი რიონი, მტკეარი, არაგვი!

სამშობლოვ,
შენი კერის მეკვლე ვარ,
შენი ლამაზი მიწის მკოცნელი,
ათას ჩანგსა და ათას სიმებზე
ამოგაჟღერო მინდა ოცნებით,

მაგრამ სიტყვები ვერ მიპოვნია,
ჰანგი, შენდამი ტრფობის მტყორცნელი!
ყოველდღე ჩემთვის ბედნიერების
და სიხარულის ხარ მომლოცველი!